საქართველო
ვანის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ვანი, თავისუფლების №65, ინდექსი 1900, E-mail: vanis.gamgeoba@yahoo.com ტელ. 22-25-25

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 20 300

22/02/2018

ვანის მუნიციპალიტეტის მერიიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ და ,,ა.ე“ ქვეპუნქტების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 28-ე მუხლის მეორე პუნქტის, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N69 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერიიდან საჯარო ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნებასა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსს სოფიკო გიორგაძეს.
2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია ძმები ნინუების ქ.N1).

ალექსანდრე გოგორიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი